

თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

ურბანული დაგეგმარებისა და საქალაქო მეურნეობის კომისიის სხდომის

ოქმი #57

ქ. თბილისი

2024 წელი, 20 დეკემბერი, 13:00 საათი

სხდომას ესწრებოდნენ კომისიის წევრები:

რევაზ სოხაძე (კომისიის თავმჯდომარე), გიორგი ტყემალაძე, ზურაბ აბაშიძე, ნიკოლოზ კახეთელიძე, ოთარ გრიგოლია, გივი ჩხარტიშვილი, კონსტანტინე ზარნაძე, ლილე ლიპარტელიანი, თამარ ხვედელიანი

სხდომას არ ესწრებოდა კომისიის წევრი: შოთა გრიგოლია, ნინო წულაძე (03-032435459 – 19/12/2024), მამუკა გუგუშვილი (03-032435428 – 19/12/2024), საბა ბუაძე

სხდომის თავმჯდომარე: რევაზ სოხაძე

სხდომის მუშაობაში მონაწილეობდნენ:

სერგო ზირკაძე - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის სსიპ ქონების მართვის სააგენტოს უფროსი

ქეთევან კანდელაკიშვილი - თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახურის უფროსის მოადგილე

გაიოზ თალაკვაძე - თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო საქალაქო სამსახურის უფროსი

ნინო ჯაფარიძე - სსიპ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის იურიდიულის უფროსი

ნინო ზაგაშვილი - ს.ს.ი.პ. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს უფროსი

№	საკითხის დასახელება
1.	მეორეული საბურავების, შავი და ფერადი ლითონების ჯართის, ექსპლუატაციიდან გამოსული სატრანსპორტო საშუალებებისა და მათი ნაწილების, ადვილად აალებადი, ფეთქებადი ან ამტვერებადი მასალის განთავსების ან/და რეალიზაციის წესის დამტკიცების თაობაზე" ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 28 თებერვლის №54-35 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ" (საკრებულოს №12-032435313-03- 18.12.2024)
2.	„ქ.თბილისის მუნიციპალიტეტში დასახლებული ტერიტორიის დასუფთავებისათვის მოსაკრებლის შემოღების, გადახდის ინსტრუქციისა დადაგვა-დასუფთავების, ნარჩენების მართვის, ოპერატორის შერჩევის და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ნარჩენების განკარგვის წესის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის12

	დეკემბრის №17-46 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ (საკრებულოს №12-032434545-03 10.12.2024)
3.	ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2025 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ (საკრებულოს №12-032434554-03 10.12.2024)
4.	„ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის №14-39 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე (საკრებულოს №12-032435137-03 16.12.2024; 12-03243545-03-19.12.2024)
5.	კულტურული მემკვიდრეობის დამცავ ზონაში არსებული ავარიული შენობა-ნაგებობების რეაბილიტაციის/ჩანაცვლების მიზნით, მისამართზე - ქალაქი თბილისი, მოსკოვის გამზირის №9ა-ში მდებარე მიწის ნაკვეთთან (საკადასტრო კოდი: №01.17.12.003.207, ფართობი - 2 500 კვ.მ.) მიმართებით, გასატარებელი ღონისძიებების საკითხის შეთანხმების თაობაზე (საკრებულოს №12-032433341-03 28.11.2024)
6.	კულტურული მემკვიდრეობის დამცავ ზონაში არსებული ავარიული შენობა-ნაგებობების რეაბილიტაციის/ჩანაცვლების მიზნით, მისამართზე - ქალაქი თბილისი, გლდანის VI მიკრო/რაიონში მდებარე მიწის ნაკვეთთან (საკადასტრო კოდი: №01.11.10.010.016, ფართობი - 741 კვ.მ.) მიმართებით, გასატარებელი ღონისძიებების საკითხის შეთანხმების თაობაზე (საკრებულოს №12-032433342-03 28.11.2024)
7.	კულტურული მემკვიდრეობის დამცავ ზონაში არსებული ავარიული შენობა-ნაგებობების რეაბილიტაციის/ჩანაცვლების მიზნით, მისამართზე - ქალაქი თბილისი, გიორგი ნადარეიშვილის ქუჩა, №38/40-ში მდებარე მიწის ნაკვეთთან (საკადასტრო კოდი: №01.17.12.003.271, ფართობი - 6 562 კვ.მ.) მიმართებით, გასატარებელი ღონისძიებების საკითხის შეთანხმების თაობაზე (საკრებულოს №12-032433343-03 28.11.2024)
8.	კულტურული მემკვიდრეობის დამცავ ზონაში არსებული ავარიული შენობა-ნაგებობების რეაბილიტაციის/ჩანაცვლების მიზნით, მისამართზე - ქალაქი თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანის N234ბ-ში მდებარე მიწის ნაკვეთთან (საკადასტრო კოდი: N01.72.14.202.015, ფართობი - 8 194 კვ.მ.) მიმართებით, გასატარებელი ღონისძიებების საკითხის შეთანხმების თაობაზე (საკრებულოს №12-03243544-03-19.12.2024)
9.	კულტურული მემკვიდრეობის დამცავ ზონაში არსებული ავარიული შენობა-ნაგებობების რეაბილიტაციის/ჩანაცვლების მიზნით, მისამართზე - ქალაქი თბილისი, გაზაფხულის ქუჩა №10-ში მდებარე მიწის ნაკვეთთან (საკადასტრო კოდი: №01.14.15.001.074, ფართობი - 3 654 კვ.მ.) მიმართებით, გასატარებელი ღონისძიებების საკითხის შეთანხმების თაობაზე (საკრებულოს №12-032427740-03 03.10.2024)
10.	„დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის №39-18 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე (საკრებულოს №12-032433329-03 28.11.2024; №12-032434733-03 12.12.2024; №12-032434868-03 13.12.2024; 12-03243543-03 -19.12.2024; 12-032431222-03 -07.11.2024 გადადებული „ბ“

	პოზიცია; 12-032429154-03 - 17.10.2024 გადადებული „გ“ პოზიცია; 12-032422615-03- 13.08.2024 გადადებული „ა“ პოზიცია; №12-032435136-03 - 16.12.2024 (ვარკეთილის მასივის რეგლამენტზე ცვლილება);
11.	ქალაქ თბილისში, სოფელ წავეისში; ქალაქ თბილისში, სოფელ წავეისში, ამაღლებას ქუჩა, №3ბ, №3-ში არსებულ მიწის ნაკვეთებსა (საკადასტრო კოდი: №81.02.98.029; №81.02.98.027; №81.02.99.522; №81.02.95.011; №81.02.98.133; №81.02.95.286) და მიმდებარე დაურეგისტრირებელ ტერიტორიაზე სააგარაკე-დასასვენებელი საცხოვრებელი სახლების განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის დამტკიცების თაობაზე (საკრებულოს №16-032433758-03 02.12.2024)
12.	ქალაქ თბილისში, რწმენის ქუჩა, №30-ში არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: №01.19.37.016.003) მრავალფუნქციური კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის დამტკიცების თაობაზე (საკრებულოს №12-03243383-03 03.12.2024)
13.	ქ. თბილისში, ჯავახეთის ქუჩა №66-ის მიმდებარედ; ქალაქ თბილისში, დასახლება ვარკეთილი-3, ჯავახეთის ქუჩის მიმდებარედ (ნაკვეთი 13/015); ქალაქ თბილისში, ჯავახეთის ქუჩა, №146; №152ბ; №162; №152; №164; №152ე; №66; №152ა; №148; №158; №152გ; №152დ; №160; №156; №66დ; №154; №150-ში არსებულ მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდი: №01.19.36.013.060; №01.19.36.013.015; №01.19.36.013.061; №01.19.36.013.056; №01.19.36.013.013; №01.19.36.013.059; №01.19.36.013.011; №01.19.36.013.045; №01.19.36.013.046; №01.19.36.013.006; №01.19.36.013.014; №01.19.36.013.037; №01.19.36.013.058; №01.19.36.013.012; №01.19.36.013.027; №01.19.36.013.053; №01.19.36.013.020; №01.19.36.013.003) მრავალფუნქციური კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის დამტკიცების თაობაზე (საკრებულოს №12-032434740-03 12.12.2024)
14.	ქალაქ თბილისში, ფონიჭალას დასახლებაში არსებულ მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდები: №01.18.13.020.056; №01.18.13.020.059) მრავალბინიანი საცხოვრებელი კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის დამტკიცების თაობაზე (საკრებულოს №12-03243512-03 16.12.2024)
15.	ქალაქ თბილისში, გორგასლის ქუჩა №109 (ნაკვ. 7/7; 7/6) არსებულ მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდი: №01.18.09.007.007; №01.18.09.007.006) მრავალბინიანი საცხოვრებელი კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალების პროექტის დამტკიცების თაობაზე (საკრებულოს №12-032433840-03 03.12.2024)
16.	ქალაქ თბილისში, სოფელ ტაბახმელაში; ქალაქი თბილისი, სოფელი ტაბახმელა, გიორგი კვინიტაძის I შესახვევში არსებულ მიწის ნაკვეთებსა (საკადასტრო კოდი: №№81.02.30.181; 81.02.30.185; 81.02.30.184; 81.02.93.160; 81.02.03.342; 81.02.03.341; 81.02.30.078; 81.02.30.003; 81.02.03.732; 81.02.94.027; 81.02.03.538; 81.02.03.716; 81.02.03.712; 81.02.03.720; 81.02.03.713; 81.02.03.307; 81.02.30.065; 81.02.30.063; 81.02.30.064; 81.02.30.054; 81.02.30.066; 81.02.30.067; 81.02.03.734; 81.02.30.073; 81.02.30.033; 81.02.03.445; 81.02.30.020; 81.02.30.019; 81.02.30.008; 81.02.94.074; 81.02.03.368; 81.02.30.075; 81.02.03.537; 81.02.03.777; 81.02.30.183; 81.02.03.643; 81.02.03.672; 81.02.30.002; 81.02.03.699; 81.02.03.308; 81.02.30.016; 81.02.03.706; 81.02.03.790; 81.02.03.444; 81.02.30.076; 81.02.30.010; 81.02.03.349; 81.02.98.434; 81.02.03.365; 81.02.98.437; 81.02.30.068; 81.02.30.069; 81.02.03.347; 81.02.93.070; 81.02.93.146; 81.02.94.588; 81.02.94.410; 81.02.03.573; 81.02.03.669; 81.02.03.408; 81.02.03.409; 81.02.30.087; 81.02.03.424; 81.02.03.332; 81.02.30.087;

	81.02.30.088; 81.02.03.331; 81.02.00.416, 81.02.00.782; 81.02.03.819; 81.02.03.919; 81.02.03.420; 81.02.03.984; 81.02.98.941; 81.02.00.219; 81.02.30.109; 81.02.03.500; 81.02.30.041; 81.02.30.097; 81.02.30.102; 81.02.97.890; 81.02.03.459; 81.02.03.407; 01.81.02.392.072; 81.02.97.086; 01.81.02.277.001 (ნაწილი) და მიმდებარე დაურეგისტრირებელ ტერიტორიაზე სააგარაკე-დასასვენებელი ერთბინიანი საცხოვრებელი სახლების კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალების პროექტის დამტკიცების თაობაზე (საკრებულოს №12-032434864-03 13.12.2024)
17.	ქალაქ თბილისში, სოფელ თხინვალაში არსებულ მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდები: №01.72.58.031.043; №72.16.15.616) ინდივიდუალური ერთბინიანი საცხოვრებელი სახლების კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალების პროექტის დამტკიცების თაობაზე (საკრებულოს №12-03243514-03 16.12.2024)
18.	ქალაქ თბილისში, წყნეთის სატყეო ტერიტორიაზე; ქალაქი თბილისი, დაბა წყნეთი, არსენას ქუჩა N10ა-ში; ქალაქი თბილისი, ბაგების სატყეო უბანში არსებულ მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდი: N01.20.01.007.062; N01.20.01.007.056; N01.20.01.007.086; N01.20.01.007.061; N01.20.01.007.043; N01.20.01.143.013-ის ნაწილი) ინდივიდუალური ერთბინიანი საცხოვრებელი სახლების განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის დამტკიცების თაობაზე (საკრებულოს №12-03243546-03-19.12.2024)
19.	ქალაქ თბილისში, სოფელ ლისზე არსებულ მიწის ნაკვეთებსა (საკადასტრო კოდები: N72.16.17.885; N72.16.20.171; N72.16.20.172; N72.16.17.884; N72.16.17.878) და მიმდებარე დაურეგისტრირებელ ტერიტორიაზე სააგარაკე-დასასვენებელი ერთბინიანი საცხოვრებელი სახლების განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის დამტკიცების თაობაზე (საკრებულოს №12-03243547-03 - 19.12.2024)
20.	ქალაქ თბილისში, მიხეილ გრიგორაშვილის ქუჩა, N 19-ში არსებულ მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდი: N01.19.24.007.909; N01.19.24.007.910; N01.19.24.007.916-ის ნაწილი) სასაწყობო კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის დამტკიცების თაობაზე (საკრებულოს №12-03243548-03- 19.12.2024)
21.	ქალაქ თბილისში, ჰეიდარ ალიევის სანაპირო, N 22; N24; N24ა; N21; N21ა; N20; N19; N23; N25; ქალაქი თბილისი, ცირკის ქვედა სკვერი; ქალაქი თბილისი, ცირკსა და ყოფილ რესტორან „არაგვს“ შორის არსებულ მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდი: N01.15.03.002.024; N01.15.03.002.011; N01.15.03.001.001; N01.15.03.002.035; N01.15.03.002.033; N01.15.03.001.013; N01.15.03.002.032; N01.15.03.002.036; N01.15.03.002.001; N01.15.03.002.029; N01.15.03.002.023; N01.15.03.002.008) მრავალფუნქციური კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალების პროექტის დამტკიცების თაობაზე (საკრებულოს №12-032435410-03-19.12.2024)
22.	ქალაქ თბილისში, კახეთის გზატკეცილი, N74-ში; ქალაქი თბილისი, დასახლება ორბევი, მუხაძის ქუჩის მიმდებარედ არსებულ მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდი: N01.19.17.002.172; 01.19.17.002.108; 01.19.17.002.174) მრავალბინიანი საცხოვრებელი კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის დამტკიცების თაობაზე (საკრებულოს №12-03243549-03 -19.12.2024)

23.	მისამართებზე - ქ. თბილისი, საირმეს ქ. N 37 (ს/კ: 01.10.14.024.036), ქ. თბილისი, მუხაძის ქ N4 (ს/კ: 01.14.11.024.004), ქ. თბილისი, ი. აბაშიძის ქ. N55 -ში (ს/კ: 01.14.11.024.012) - არსებული დაუმთავრებელი მშენებლობების ფარგლებში დაზარალებული პირების მიმართ თანხის და ფართის სახით გასაცემი ვალდებულებების შესრულების საკითხი თაობაზე" (საკრებულოს №12-032435462-03 -19.12.2024)
24.	„მისამართზე - ქ. თბილისი, პეტრე იბერის ქ. N16 (ს/კ: N01.10.06.001.234) - არსებული დაუმთავრებელი მშენებლობის დასრულებისთვის ი.ბ.ა. „დიდგორი 2006“-ის (ს/ნ 205137449) მიმართ დამატებითი/დაზუსტებითი ხელშეწყობი ღონისძიებების გამოყენების საკითხის შეთანხმების თაობაზე" (საკრებულოს №12-032435462-03 -19.12.2024)
25.	„მისამართზე - ქ. თბილისი, ბოჭორიშვილის ქ. 37 „ა“-ში (ს/კ: N01.10.13.023.001) - არსებული დაუმთავრებელი მშენებლობის ფარგლებში, ზოგიერთი ფიზიკური პირის მიმართ არსებული ვალდებულებების შესრულების საკითხის შეთანხმების თაობაზე" (საკრებულოს №12-032435462-03 -19.12.2024)
26.	მისამართზე - ქ. თბილისი, ბოჭორმის ქუჩა №20/ლევ კაჩინსკის ქუჩა №2 (ს/კ 01.17.13.041.016) არსებული დაუმთავრებელი მშენებლობის ფარგლებში დაზარალებულ პირთა ნაწილის მოთხოვნის შესაბამისად შპს „სამშენებლო კომპანია ალფა დეველოპმენტის" (ს/ნ. 454407721) მიმართ გაცემული მხარდაჭერი ღონისძიებების გაუქმების საკითხის შეთანხმების თაობაზე (საკრებულოს №12-03243262-03 21.11.2024)

კომისიის თავმჯდომარე ბატონი რევაზ სოხაძე მიესალმა კომისიის წევრებს და სხდომა გახსნილად გამოაცხადა.

ურბანული დაგეგმარებისა და საქალაქო მეურნეობის კომისიამ ხმათა უმრავლესობით დაამტკიცა დღის წესრიგი.

1. მეორეული საბურავების, შავი და ფერადი ლითონების ჯართის, ექსპლუატაციიდან გამოსული სატრანსპორტო საშუალებებისა და მათი ნაწილების, ადვილად აალებადი, ფეთქებადი ან ამტვერებადი მასალის განთავსების ან/და რეალიზაციის წესის დამტკიცების თაობაზე" ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 28 თებერვლის №54-35 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ" (საკრებულოს №12-032435313-03- 18.12.2024)

საკითხი წარმოადგინა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის სსიპ ქონების მართვის სააგენტოს უფროსმა სერგო ბირკაძემ. მისი თქმით, საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში ცვლილების შეტანის შესახებ" საქართველოს კანონით (N4750-III ს 30.05.2019წ.), საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსს დამატა 152 4 მუხლი, რომელიც ითვალისწინებს სანქციებს მეორეული საბურავების, შავი და ფერადი ლითონების ჯართის, ექსპლუატაციიდან გამოსული სატრანსპორტო საშუალებებისა და მათი ნაწილების, ადვილად აალებადი, ფეთქებადი ან ამტვერებადი მასალის განთავსების წესის ან/და რეალიზაციის წესის დარღვევისათვის ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე. ზემოაღნიშნული საკანონმდებლო ცვლილების საფუძველზე ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ მიღებულ იქნა „მეორეული საბურავების, შავი და ფერადი

ლითონების ჯართის, ექსპლუატაციიდან გამოსული სატრანსპორტო საშუალებებისა და მათი ნაწილების, ადვილად აალებადი, ფეთქებადი ან ამტვერებადი მასალის განთავსების ან/და რეალიზაციის წესის დამტკიცების თაობაზე" 2020 წლის 28 თებერვლის N54-35 დადგენილება (შემდგომში - დადგენილება), რომელიც განსაზღვრავს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მეორეული საბურავების, შავი და ფერადი ლითონების ჯართის, ექსპლუატაციიდან გამოსული სატრანსპორტო საშუალებებისა და მათი ნაწილების, ადვილად აალებადი, ფეთქებადი ან ამტვერებადი მასალის განთავსების და ასევე მათი რეალიზაციის წესს და პირობებს (შემდგომში - წესი). თუმცა, მას შემდეგ რაც აღნიშნული დადგენილება იქნა მიღებული, დაიწყო ე.წ. კოვიდ პანდემია (ახალი კორონა ვირუსით (Covid - 19)), რომელიც დაახლოებით ორი წელი გაგრძელდა, ამ მიზეზით ცხადია დღის წესრიგში დადგა წესის ამოქმედების გადავადების საკითხი. გარდა ამისა, წესის ამოქმედების შემდგომი გადავადების საფუძველი იყო ასევე ზემოაღნიშნულ სფეროთი დასაქმებული სუბიექტების არაერთი მომართვა. დღეის მდგომარეობით, წესი უნდა ამოქმედდეს 2025 წლის 1 იანვრიდან. თუცა, იმის გათვალისწინებით, რომ საბოლოოდ მოხდეს ამ სფეროში დასაქმებული პირებისათვის სრული და სათანადო ინფორმირებულობა, საჭირო რეკომენდაციებისა თუ მითითებების მიცემა იმასთან დაკავშირებით, თუ რა წესით, რა პირობებით, რა კრიტერიუმების დაკმაყოფილების შემთხვევაში შეეძლება ამ სფეროთი დაინტერესებულ პირებს საქმიანობის განხორციელება, მიზანშეწონილია კიდევ ერთხელ და შეიძლება ითქვას უკვე რომ საბოლოოდ მოხდეს წესის ამოქმედების ვადის გადაწევა 2026 წლის 1 იანვრამდე. ამასთან, ამავე დადგენილებით ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მუნიციპალურ ინსპექციას ევალება, რომ 2025 წლის 1 აპრილამდე უზრუნველყოს ამ პირების და ამ საქმიანობის აღწერა და მათთვის საჭირო და სათანადო ინფორმაციის მიწოდება, რეკომენდაციების მიცემა, მითითებების გაცემა და ა.შ. რომ მათი საქმიანობა 2026 წლის 1 იანვრიდან შესაბამისობაში იყოს მოქმედ კანონმდებლობასთან. პროექტის მიღების მიზანია, წესით რეგულირებულ სფეროში დასაქმებული პირების ხელშეწყობა, რაც გულისხმობს, წესის ამოქმედების თარიღის (2025 წლის პირველი იანვარი) ერთი წლით გადავადებას, ასევე, წესით დადგენილი რეგულაციების კუთხით, მათი სრულად ინფორმირებულობის ამაღლებას, რასაც თავის მხრივ უზრუნველყოფს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური ინსპექცია. ცვლილება შედის დადგენილების მე-2 მუხლში და წესის ამოქმედების თარიღი 2025 წლის პირველი იანვრის ნაცვლად განისაზღვრება 2026 წლის პირველი იანვარი; პროექტის მე-2 მუხლით ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალურმა ინსპექციამ, 2025 წლის პირველ აპრილამდე უნდა უზრუნველყოს სფეროში ზემოაღნიშნულ სფეროში დასაქმებული პირების საქმიანობის აღწერა და მათი საქმიანობის წესთან შესაბამისობაში მოყვანის მიზნით, შესაბამისი რეკომენდაციებისა და მითითებების გაცემა.

კენჭისყრაში მონაწილეობისგან თავი შეიკავეს ლილე ლიპარტელიანმა და თამარ ხვედელიანმა.

ბმათა უმრავლესობით, ურბანული დაგეგმარების და საქალაქო მეურნეობის კომისიას მიზანშეწონილად მიაჩნია აღნიშნული პროექტი გატანილ იქნას საკრებულოს სხდომაზე დასამტკიცებლად.

2. „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტში დასახლებული ტერიტორიის დასუფთავებისათვის მოსაკრებლის შემოღების, გადახდის ინსტრუქციისა დადაგვა-დასუფთავების, ნარჩენების მართვის, ოპერატორის შერჩევის და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ნარჩენების განკარგვის წესის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის

მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 12 დეკემბრის №17-46 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ (საკრებულოს №12-032434545-03 10.12.2024)

საკითხი წარმოადგინა თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახურის უფროსის მოადგილე ქეთევან კანდელაკიშვილმა. მისი თქმით, ქალაქი თბილისი გამოირჩევა მრავალფეროვანი მწვანე ლანდშაფტით. ქალაქის ტერიტორიაზე არსებული გამწვანებული ტერიტორიების მოვლა-პატრონობა, მდგრადობის შენარჩუნება და დაგვადასუფთავება მუნიციპალიტეტის ფუნქცია-მოვალეობაა. სწორედ ამიტომ, მნიშვნელოვანია ქალაქის ტერიტორია იყოს მუდმივად მოწესრიგებული და სარეველა ბალახოვანი მცენარეებისგან თავისუფალი, რასაც ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის შპს „ეკოსერვის ჯგუფი“ (ს/ნ 404553666, შემდგომში - კომპანია) ახორციელებს. აღსანიშნავია, რომ „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტში დასახლებული ტერიტორიის დასუფთავებისათვის მოსაკრებლის შემოღების, გადახდის ინსტრუქციისა და დაგვა-დასუფთავების, ნარჩენების მართვის, ოპერატორის შერჩევის და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ნარჩენების განკარგვის წესის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 12 დეკემბრის N17-46 დადგენილებით (შემდგომში - N17-46 დადგენილება) დამტკიცდა „დაგვადასუფთავების, ნარჩენების მართვის, ოპერატორის შერჩევის და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ნარჩენების განკარგვის წესი“ (შემდგომში -წესი) და იგი განსაზღვრავს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის დაგვა-დასუფთავების, ნარჩენების მართვის ორგანიზების, მომსახურების წესების დადგენის, ოპერატორის შერჩევისა და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ნარჩენების განკარგვის წესებს. წესის მე-3 მუხლის მე-3 პუნქტი აკონკრეტებს ტერმინ დაგვადასუფთავების შინაარსს და კრძალავს ამ პროცესში ჰერბიციდების გამოყენების შესაძლებლობას. შესაბამისად, დღეის მდგომარეობით, კომპანია თავისი საქმიანობის ფარგლებში, სარეველა მცენარეებთან ბრძოლას ახორციელებს ფიზიკურად, დამზარე მოწყობილობების საშუალებით და ჰერბიციდების გარეშე, რაც ართულებს შესასრულებელ სამუშაოს და აჭიანურებს დროში, გარდა სამუშაოს შესრულების სირთულისა, ზოგჯერ, სარეველა მცენარეების განადგურება ხორციელდება ადამიანისთვის მიუდგომელ ადგილას, რაც საფრთხეს უქმნის კომპანიაში დასაქმებულთა უსაფრთხოებას. აღნიშნულიდან გამომდინარე, აუცილებელი გახდა შესაბამისი ცვლილების შეტანა N17-46 დადგენილებაში. შესაბამისად, პროექტით ცვლილება შედის წესში და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიის დაგვა-დასუფთავებისას, სარეველა მცენარეების მოშორების მიზნით, კანონმდებლობით დადგენილი წესით, დასაშვები ხდება ჰერბიციდების გამოყენება. პროექტის მიღების (გამოცემის) მიზანია ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიის დაგვადასუფთავების პროცესში, სარეველა მცენარეების მოშორების მიზნით, კანონმდებლობით დადგენილი წესით, ჰერბიციდების გამოყენების დაშვება, რაც ერთი მხრივ, კომპანიის თანამშრომელთა ჯანმრთელობისა და შრომითი უფლებების დაცვას და მეორე მხრივ, სარეველა მცენარეებისგან ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების მყისიერად და ეფექტიანად გაწმენდას უზრუნველყოფს. „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტში დასახლებული ტერიტორიის დასუფთავებისათვის მოსაკრებლის შემოღების, გადახდის ინსტრუქციისა და დაგვა-დასუფთავების, ნარჩენების მართვის, ოპერატორის შერჩევის და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ნარჩენების განკარგვის წესის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 12 დეკემბრის N17-46 დადგენილებით დამტკიცებული „დაგვა-დასუფთავების, ნარჩენების მართვის, ოპერატორის შერჩევის და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ნარჩენების

განკარგვის წესის" მე-3 მუხლი ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის დაგვა-დასუფთავებისას კრძალავს ჰერბიციდების გამოყენების შესაძლებლობას. პროექტით ცვლილება შედის დასახელებულ მუხლში და სარეველა მცენარეების მოშორების მიზნით, კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად, დასაშვები ხდება ჰერბიციდების გამოყენება.

კენჭისყრაში მონაწილეობისგან თავი შეიკავეს ლილე ლიპარტელიანმა და თამარ ხვედელიანმა.

ხმათა უმრავლესობით, ურბანული დაგეგმარების და საქალაქო მეურნეობის კომისიას მიზანშეწონილად მიაჩნია აღნიშნული პროექტი გატანილ იქნას საკრებულოს სხდომაზე დასამტკიცებლად.

3. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2025 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ (საკრებულოს №12-032434554-03 10.12.2024)

საკითხი წარმოადგინა თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო საქალაქო სამსახურის უფროსმა გაიოზ თალაკვაძემ. მისი თქმით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2025 წლის ბიუჯეტის პროექტის მოცულობა განისაზღვრა 1 983 178,0 ათასი ლარით, რაც 2024 წლის დამტკიცებულ ბიუჯეტთან (1 763 354,7 ათასი ლარი) მიმართებაში გაზრდილია 219 823,3 ათასი ლარით, ხოლო 2025 წლის პირველად წარდგენილ ბიუჯეტის პროექტთან (1 826 308,6 ათასი ლარი) შედარებით გაზრდილია 156 869,4 ათასი ლარით. აღნიშნული გამოწვეულია საკუთარი შემოსულობების დაზუსტების, საქართველოს პარლამენტში „საქართველოს 2025 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტის“ მესამე წარდგენის და საქართველოს ფინანსთა სამინისტროდან მიმდინარე წლის 3 დეკემბერს მიღებული წერილის (N04-03/89332) გათვალისწინებით, რომლის თანახმად გადასახადების ჯამური მოცულობა იზრდება 81 693,2 ათასი ლარით (მათ შორის ქონების გადასახადი იზრდება - 15 000,0 ათასი ლარით, ხოლო დამატებული ღირებულების გადასახადი - 66 693,2 ათასი ლარით), ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტს სახელმწიფო ბიუჯეტიდან მისაღები კაპიტალური სპეციალური ტრანსფერის სახით დამატებით გამოეყოფა 80 000,0 ათასი ლარი, ხოლო სხვა შემოსავლების ნაწილში მისაღები შემოსავლები მცირდება - 4 823,8 ათასი ლარის ოდენობით. გაზრდილი ფინანსური რესურსის გათვალისწინებით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2025 წლის ბიუჯეტის პროექტით ასიგნებები მიიმართება შემდეგ პრიორიტეტებზე: სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის მშენებლობა - აღდგენა - 685 915,7 ათასი ლარი; ინფრასტრუქტურის ობიექტების მშენებლობა, ექსპლოატაცია და ავარიული შენობების გამაგრება/ ჩანაცვლება - 246 495,3 ათასი ლარი; ეკოლოგიური მდგომარეობის შენარჩუნება და გაუმჯობესება - 263 120,9 ათასი ლარი ეკონომიკის განვითარების ხელშეწყობა - 3 079,5 ათასი ლარი; ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების განვითარება - 47 491,3 ათასი ლარი; ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა - 165 575,2 ათასი ლარი; განათლება - 261 539,9 ათასი ლარი; კულტურა, სპორტი და ახალგაზრდობა - 39 294,0 ათასი ლარი; საზოგადოებრივი წესრიგი და უსაფრთხოება - 15 779,2 ათასი ლარი. ქ. თბილისის წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოები - 254 887,0 ათასი ლარი. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2025 წლის ბიუჯეტის შემოსავლების საპროგნოზო მაჩვენებელი განისაზღვრა 1 903 178,0 ათასი ლარის ოდენობით, რაც 2024 წლის დამტკიცებულ მაჩვენებელთან (1 708 254,7 ათასი ლარი) შედარებით გაზრდილია 194 923,3 ათასი ლარით, ხოლო ბიუჯეტის პროექტის პირველ ვერსიასთან (1 746 308,6 ათასი ლარი) შედარებით გაზრდილია 156 869,4 ათასი ლარით. მათ შორის: გადასახადები 987 349,2 ათასი ლარი, რაც 2024 წლის დამტკიცებულ მაჩვენებელთან

(918 661,8 ათასი ლარი) მიმართებაში გაზრდილია 68 687,4 ათასი ლარით, ხოლო პირველად წარდგენილ პროექტთან მიმართებაში გაზრდილია 81 693,2 ათასი ლარით. მათ შორის: ქონების გადასახადიდან მისაღები შემოსავალი შეადგენს 320 000,0 ათას ლარს, რაც 2024 წლის დამტკიცებულ მაჩვენებელთან (275 000,0 ათასი ლარი) შედარებით გაზრდილია 45 000,0 ათასი ლარით, ხოლო პირველად წარდგენილ პროექტთან მიმართებაში გაზრდილია 15 000,0 ათასი ლარით. მათ შორის: საწარმოთა ქონებაზე გადასახადი 255 000,0 ათასი ლარი, რაც 2024 წლის შესაბამის მაჩვენებელთან (225 000,0 ათასი ლარი) მიმართებაში გაზრდილია 30 000,0 ათასი ლარით; ფიზიკურ პირთა ქონებაზე გადასახადი 45 000,0 ათასი ლარი, რაც 2024 წლის შესაბამის მაჩვენებელთან (30 000,0 ათასი ლარი) მიმართებაში გაზრდილია 15 000,0 ათასი ლარით; მიწაზე ქონების გადასახადი 20 000,0 ათასი ლარი, რაც 2024 წლის შესაბამის მაჩვენებელთან (20 000,0 ათასი ლარი) მიმართებაში უცვლელია. დამატებული ღირებულების გადასახადიდან მისაღები შემოსავალი შეადგენს 667 349,2 ათას ლარს, რაც 2024 წლის დამტკიცებულ მაჩვენებელთან (643 661,8 ათასი ლარი) შედარებით გაზრდილია 23 687,4 ათასი ლარით, ხოლო პირველად წარდგენილ პროექტთან მიმართებაში - 66 693,2 ათასი ლარით მეტია. გრანტები 594 174,6 ათასი ლარი, რაც 2024 წლის დამტკიცებულ მაჩვენებელთან (508 909,9 ათასი ლარი) მიმართებაში გაზრდილია 85 264,7 ათასი ლარით (სხვა კაპიტალური გრანტების ხარჯზე), ხოლო პირველად წარდგენილ პროექტთან მიმართებაში - 80 000,0 ათასი ლარით მეტია). მათ შორის: - საერთაშორისო ორგანიზაციებიდან მიღებული გრანტები 430,0 ათასი ლარი (საქართველოს მთავრობასა და აზიის განვითარების ბანკს შორის გაფორმებული სასესხო ხელშეკრულების (№6024- GEO, №4134-GEO) ფარგლებში, „საცხოვრებლად ვარგისი ქალაქების საინვესტიციო პროგრამის“ განხორციელებისთვის, ინდივიდუალური კონსულტანტების შრომის ანაზღაურების (გადასახადების გარეშე) დაფარვა დონორი ორგანიზაციის მიერ); მიზნობრივი ტრანსფერი დელეგირებული უფლებამოსილების განსახორციელებლად 444,6 ათასი ლარი (გადამდებ დაავადებათა ეპიდემიოლოგიური კონტროლისათვის); - სახელმწიფო ბიუჯეტიდან მისაღები სპეციალური ტრანსფერი 580 000,0 ათასი ლარი, რაც პირველ წარდგენილ პროექტთან მიმართებაში - 80 000,0 ათასი ლარით მეტია (თბილისის მასშტაბით არსებულ ქუჩებზე გზების კაპიტალური შეკეთების სამუშაოები (მათ შორის რუსთაველის გამზირი, ჭავჭავაძე - ბაგების გზა); ნაგავშემკრები კონტეინერების (მათ შორის მიწისქვეშა ურნები) შესაძენად; თბილისის მასშტაბით სკვერების მოწყობა რეაბილიტაციისთვის; რაიონების გზებისა და კეთილმოწყობის ღონისძიებებისათვის). სხვა კაპიტალური გრანტები სახელმწიფო ბიუჯეტიდან - 13 300,0 ათასი ლარი (მათ შორის მდგრადი ურბანული მობილობა - გონიერი სატრანსპორტო სისტემა (KFW) სესხის მომსახურების ფარგლებში დამატებული ღირებულების გადასახადის გადასახდელად - 5 000,0 ათასი ლარი, თბილისის ავტობუსების პროექტის (ფაზა II) (EBRD) ფარგლებში დამატებული ღირებულების გადასახადის გადასახდელად - 2 000,0 ათასი ლარი, თბილისის მეტროს სადგურების მოდერნიზაციის პროექტის სესხის მომსახურების ფარგლებში დამატებული ღირებულების გადასახადის გადასახდელად - 300,0 ათასი ლარი, საცხოვრებლად ვარგისი ქალაქების საინვესტიციო პროგრამის (ADB) ფარგლებში დამატებული ღირებულების გადასახადის გადასახდელად - 2 500,0 ათასი ლარი, თბილისის მყარი ნარჩენების პროექტის სესხის მომსახურების და თბილისის მუნიციპალური მომსახურების პროექტი. სხვა შემოსავლები 321 654,2 ათასი ლარი, რაც 2024 წლის დამტკიცებულ მაჩვენებელთან (280 683,0 ათასი ლარი) მიმართებაში გაზრდილია 40 971,2 ათასი ლარით (ძირითადად პროცენტები, სანებართვო მოსაკრებელი, სანქციები (ჯარიმები და საურავები), მოსაკრებელი დასახლებული ტერიტორიის დასუფთავებისათვის, სხვა შემოსავლები), ხოლო პირველად წარდგენილ პროექტთან მიმართებაში შემცირებულია - 4 823,8 ათასი ლარით. მათ შორის: შემოსავალი საკუთრებიდან - 16

000,0 ათასი ლარი; ადგილობრივი სანებართვო მოსაკრებელი - 23 791,4 ათასი ლარი; მოსაკრებელი დასახლებული ტერიტორიის დასუფთავებისათვის - 80 000,0 ათასი ლარი; სანქციები (ჯარიმები და საურავები) 115 000,0 ათასი ლარი; ტრანსფერები, რომელიც სხვაგან არ არის კლასიფიცირებული (სხვა შემოსავლები) - 24 707,8 ათასი ლარი (პირველად წარდგენილ პროექტთან მიმართებაში - 4 823,8 ათასი ლარით ნაკლებია (დაზუსტდა სხვა არაკლასიფიცირებული შემოსავლები). ბიუჯეტის პროექტის გადამუშავებულ ვარიანტში ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2025 წლის ბიუჯეტის გადასახდელები შეადგენს 1 983 178,0 ათას ლარს, მათ შორის: ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2025 წლის ბიუჯეტის ხარჯები - განსაზღვრულია 1 571 754,3 ათასი ლარით, მათ შორის: შრომის ანაზღაურება 149 075,7 ათასი ლარით, საქონელი და მომსახურების მუხლით გათვალისწინებულია 191 493,2 ათასი ლარი, პროცენტი 40 340,3 ათასი ლარი, სუბსიდიები 725 222,7 ათასი ლარი, გრანტები 1 434,3 ათასი ლარი, სოციალური უზრუნველყოფა 155 645,7 ათასი ლარი, სხვა ხარჯები 308 542,4 ათასი ლარით, არაფინანსური აქტივების ცვლილება წარმოდგენილი პროექტით არაფინანსური აქტივების ცვლილება შეადგენს - 286 968,4 ათას ლარს, მათ შორის: არაფინანსური აქტივების ზრდა - 366 968,4 ათასი ლარი. არაფინანსური აქტივების კლება - 80 000,0 ათასი ლარი (მათ შორის საცხოვრებელი სახლების ფართის გაყიდვიდან - 30 000,0 ათასი ლარი). ვალდებულებების ცვლილება 2025 წლისათვის ვალდებულებების ცვლილება (44 455,3) ათასი ლარი, რომელიც მთლიანად ვალდებულებების კლებას შეადგენს. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის მთლიანი სალდო 2025 წლისათვის ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის მთლიანი სალდო განისაზღვრა 44 455,3 ათას ლარით, რაც ნიშნავს რომ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2025 წლის ბიუჯეტი არის პროფიციტური. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2025 წლის ბიუჯეტის ასიგნებები შეადგენს 1 983 178,0 ათას ლარს, რაც 2024 წლის დამტკიცებულ ბიუჯეტთან (1 763 354,7 ათასი ლარი) შედარებით გაზრდილია 219 823,3 ათასი ლარით, ხოლო ბიუჯეტის პროექტის პირველად ვერსიასთან (1 826 308,6 ათასი ლარი) შედარებით გაზრდილია 156 869,4 ათასი ლარით, მათ შორის: სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის მშენებლობა - აღდგენა - 685 915,7 ათასი ლარით, რაც 2024 წლის დამტკიცებულ ბიუჯეტთან (567 498,1 ათასი ლარი) შედარებით გაზრდილია 118 417,6 ათასი ლარით, ხოლო პირველ წარდგენილ პროექტთან (631 765,7 ათასი ლარი) მიმართებაში - 54 150,0 ათასი ლარით მეტია. მათ შორის: რაიონების გზების მოვლაშეკეთების ქვეპროგრამების ასიგნებები ჯამში იზრდება - 8 150,0 ათასი ლარით, ხოლო გზების მშენებლობა და აღდგენა ქვეპროგრამის ასიგნებები - 46 000,0 ათასი ლარით (თბილისის მასშტაბით არსებულ ქუჩებზე გზების კაპიტალური შეკეთების სამუშაოები (მათ შორის რუსთაველის გამზირი, ჭავჭავაძე - ბაგების გზა); ინფრასტრუქტურის ობიექტების მშენებლობა, ექსპლუატაცია და ავარიული შენობების გამაგრება/ ჩანაცვლება - 246 495,3 ათასი ლარით, რაც 2024 წლის დამტკიცებულ ბიუჯეტთან (267 969,4 ათასი ლარი) შედარებით გაზრდილია 21 474,1 ათასი ლარით, ხოლო პირველ წარდგენილ პროექტთან (209 514,6 ათასი ლარი) მიმართებაში - 36 980,7 ათასი ლარით მეტია. მათ შორის: საინჟინრო ნაგებობების და ინფრასტრუქტურის ობიექტების მშენებლობა და აღდგენა-რეკონსტრუქცია - 8 700,0 ათასი ლარი (ვაკის რაიონში, წყნეთის გზატკეცილზე საავტომობილო გზის გასწვრივ ფერდის გამაგრების სამუშაოები); გარე განათების ქსელის ექსპლუატაცია და რეაბილიტაცია - 5 000,0 ათასი ლარი (კოსტავას ქუჩის ნაწილზე და რუსთაველის გამზირზე, ჩოლოყაშვილისა და წერეთლის ქუჩებზე გარე განათების მოწყობა), კეთილმოწყობის ღონისძიებები რაიონებში გათვალისწინებულია 16 280,7 ათასი ლარი, ქალაქის განვითარების ხელშეწყობა - 7 000,0 ათასი ლარი (ჭადრაკის სასახლის ფასადის რეაბილიტაცია); ეკოლოგიური მდგომარეობის შენარჩუნება და გაუმჯობესება - 263 120,9 ათასი ლარით, რაც 2024 წლის დამტკიცებულ ბიუჯეტთან (221 611,1 ათასი ლარი) მიმართებაში

გაზრდილია 41 509,8 ათასი ლარით, ხოლო პირველ წარდგენილ პროექტთან (223 195,4 ათასი ლარი) მიმართებაში - 39 925,5 ათასი ლარით მეტია. მათ შორის: თბილისის მასშტაბით სკვერების მოწყობა/რეაბილიტაცია (მათ შორის რუსთაველის გამზირის გამწვანება) - 20 500,0 ათასი ლარი, ნაგავშემკრები კონტეინერების (მათ შორის მიწისქვეშა) შექმნა - 11 000,0 ათასი ლარი, შპს თბილსერვის ჯგუფისათვის ბელიაშვილის ქუჩაზე საწყობის მშენებლობა - 1 000,0 ათასი ლარი; ეკონომიკის განვითარების ხელშეწყობა - 3 079,5 ათასი ლარით, რაც პირველ წარდგენილ პროექტთან მიმართებაში უცვლელია; ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების განვითარება განსაზღვრულია 47 491,3 ათასი ლარით, რაც 2024 წლის დამტკიცებულ ბიუჯეტთან (38 796,3 ათასი ლარი) მიმართებაში გაზრდილია 8 695,0 ათასი ლარით, ხოლო პირველ წარდგენილ პროექტთან (38 296,3 ათასი ლარი) მიმართებაში - 9 195,0 ათასი ლარით მეტია. პრიორიტეტის ფარგლებში გრძელდება მრავალბინიან საცხოვრებელ სახლებში სახურავების შეკეთება (ბრტყელი და ქანობიანი გადახურვა), ლიფტების მიმდინარე შეკეთება და რეაბილიტაცია, შიდა წყალკანალიზაციის გაყვანილობების შეკეთება, სადარბაზოების სარემონტო სამუშაოები, შენობის ან/და მისი შემადგენელი ელემენტების კაპიტალური გამაგრებითი სამუშაოები და სხვა ღონისძიებები; ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა განსაზღვრულია 165 575,2 ათასი ლარით, რაც 2024 წლის დამტკიცებულ ბიუჯეტთან (154 920,1 ათასი ლარი) მიმართებაში გაზრდილია 10 655,1 ათასი ლარით, ხოლო პირველ წარდგენილ პროექტთან (164 975,2 ათასი ლარი) მიმართებაში - 600,0 ათასი ლარით მეტია. მათ შორის იზრდება დანგრეული საცხოვრებელი სახლების მაცხოვრებელთა კომპენსაცია რაიონებში (დიდუბე, ნაძალადევი) - 255,0 ათასი ლარით, ხოლო სხვა სოციალური (დახმარების) ღონისძიებები ნაძალადევის რაიონში - 345,0 ათასი ლარით; განათლება დაიგეგმა - 261 539,9 ათასი ლარით, რაც 2024 წლის დამტკიცებულ ბიუჯეტთან (248 047,1 ათასი ლარი) მიმართებაში გაზრდილია 13 492,8 ათასი ლარით, ხოლო პირველ წარდგენილ პროექტთან მიმართებაში უცვლელია; კულტურა, სპორტი და ახალგაზრდობა - 39 294,0 ათასი ლარით, რაც 2024 წლის დამტკიცებულ ბიუჯეტთან (35 534,7 ათასი ლარი) მიმართებაში გაზრდილია 3 759,3 ათასი ლარით, ხოლო პირველ წარდგენილ პროექტთან (32 444,0 ათასი ლარი) მიმართებაში 6 850,0 ათასი ლარით მეტია, მათ შორის ვერის კორტების რეაბილიტაცია - 2 500,0 ათასი ლარი, ვარკეთილში მდებარე „ედელვაისის“ მოედნის რეაბილიტაცია - 4 000,0 ათასი ლარი, ხოლო კულტურულ, სპორტული და ახალგაზრდული ღონისძიებები რაიონებში (გლდანის, სამგორის) - 350,0 ათასი ლარი; საზოგადოებრივი წესრიგი და უსაფრთხოება - 15 779,2 ათასი ლარით, რაც 2024 წლის დამტკიცებულ ბიუჯეტთან (7 297,0 ათასი ლარი) მიმართებაში გაზრდილია 8 482,2 ათასი ლარით, ხოლო პირველ წარდგენილ პროექტთან (7 779,2 ათასი ლარი) მიმართებაში 8 000,0 ათასი ლარით მეტია, მათ შორის თბილისის მუნიციპალიტეტის ქონების დაცვის უზრუნველყოფა - 2 000,0 ათასი ლარით, ხოლო ცხოველთა მონიტორინგი (მათ შორის გლდანის ტერიტორიაზე ცხოველთა თავშესაფრის მშენებლობა) - 6 000,0 ათასი ლარით; ქ.თბილისის წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოები - 254 887,0 ათასი ლარით, რაც 2024 წლის დამტკიცებულ ბიუჯეტთან (219 527,4 ათასი ლარი) მიმართებაში გაზრდილია 35 359,6 ათასი ლარით, ხოლო პირველ წარდგენილ პროექტთან (253 718,8 ათასი ლარი) მიმართებაში 1 168,2 ათასი ლარით მეტია, რაც მიმართება დიდუბის, ჩუღურეთის და სამგორის ადმინისტრაციული შენობების სარემონტო სამუშაოებისათვის აღსანიშნავია, რომ 2025 წლისათვის იგეგმება გარდამავალი თავისუფალი ნაშთის გამოყენება სხვადასხვა მიმართულებებზე გარდა ამისა, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2025 წლის ბიუჯეტის პროექტს ახლავს ინფორმაციული ხასიათის დანართები: დანართი 1 - პროგრამული ბიუჯეტის შესახებ, რომელიც მოიცავს დეტალურ ინფორმაციას განსახორციელებელი პროგრამებისა და ქვეპროგრამების შესახებ, დანართი 2 - კაპიტალური პროექტების შესახებ,

დანართი 3 - ბიუჯეტით გათვალისწინებული პროგრამების/ ქვეპროგრამების განმახორციელებელი ორგანიზაციების შესახებ, დანართი 4 - სხვა ხარჯების შესახებ, დანართი 5 - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებული სსიპ-ებისა, ა(ა)იპ-ების და სამთავრობო სექტორის მიკუთვნებული სახელმწიფო საწარმოების ბიუჯეტების შესახებ, დანართი 6 - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტის 9 თვის შესრულების მიმოხილვის შესახებ და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2025-2028 წლების პრიორიტეტების დოკუმენტი. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2025 წლის ბიუჯეტის პროექტში გამოყენებულია თანასწორობის პოლიტიკის განხორციელების მექანიზმი, რომელიც გულისხმობს საბიუჯეტო პროცესში გენდერული ასპექტების ჩართვას.

კენჭისყრაში მონაწილეობისგან თავი შეიკავეს ლილე ლიპარტელიანმა და თამარ ხვედელიანმა.

ბმთა უმრავლესობით, ურბანული დაგეგმარების და საქალაქო მეურნეობის კომისიას მიზანშეწონილად მიაჩნია აღნიშნული პროექტი გატანილ იქნას საკრებულოს სხდომაზე დასამტკიცებლად.

4. „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის №14-39 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე (საკრებულოს №12-032435137-03 16.12.2024; 12-03243545-03-19.12.2024)

12-032435137-03 16.12.2024

საკითხი წარმოადგინა ს.ს.ი.პ. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს უფროსის მოადგილე ნინო ბაგაშვილმა. მისი თქმით, წინამდებარე ცვლილება ხორციელდება განაშენიანების რეგულირების წესების 16¹ და 16² მუხლებში, რაც გულისხმობს სსზ-ებში (სსზ-1;სსზ-2) საცხოვრებელი ფუნქციის ცვლილებისთვის დადგენილი მაკომპენსირებელი ღონისძიებისგან გათავისუფლებას შემდეგი რიგის ქალაქგეგმარებით არეალში (ვარკეთილის მასივი) არსებულ მიწის ნაკვეთებზე.“ ასევე, ცვლილება ეხება განაშენიანების რეგულირების წესების 16³ მუხლის მე-4 პუნქტს, რაც გულისხმობს პრივატიზებულ მიწის ნაკვეთებზე ფუნქციური ზონის ცვლილებისას გადასახდელი ფასის განსაზღვრის საკითხს (გადასახდელი ფასი განისაზღვროს არსებული ფუნქციური ზონის საბაზრო ღირებულებისა და მოახოვნილი ფუნქციური ზონის შესაბამისად). შემდგომი ცვლილება კი ხორციელდება განაშენიანების რეგულირების წესების 24-ე მუხლის მე-8 პუნქტთან დაკავშირებით. კერძოდ, ემატება 8¹ პუნქტი: მიწის ნაკვეთზე მრავალბინიანი საცხოვრებელი, სასტუმროს ან საცხოვრებელი ფუნქციის შემცველი მრავალფუნქციური შენობის განთავსების მიზნით ინდივიდუალური პარამეტრების დადგენისას, არსებობს მოთხოვნა, რაც გულისხმობს ფართობისა და ზომების მიხედვით განაშენიანების რეგულირების წესებით შესაბამისი ზონისათვის დადგენილი მიწის ნაკვეთის პარამეტრების 3/4-ის დაცვას. ცვლილების შესაბამისად, აღნიშნული რეგულირება არ გავრცელდება მიწის ნაკვეთებზე, ორი ან მეტი ფუნქციური ზონის არსებობისას.“ წარმოდგენილი ცვლილებების მიზანია, პრაქტიკაში არსებული შემთხვევებიდან გამომდინარე, არსებული რეგულაციების სრულყოფა. ა)16¹ მუხლს მე-13 პუნქტის შემდეგ დამატოს შემდეგი შინაარსის მე-14 პუნქტი: „14. ამ მუხლით დადგენილი რეგულირება არ ვრცელდება „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის №39-18 დადგენილების პირველი მუხლის „ბ“ პუნქტით დამტკიცებული „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის ტექსტური ნაწილის“ 72-ე მუხლის მე-4 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ შემდეგი რიგის ქალაქგეგმარებით არეალში (ვარკეთილის მასივი) არსებულ მიწის ნაკვეთებზე.“ ბ) 16 2 მუხლს მე-6 პუნქტის შემდეგ დაემატოს შემდეგი შინაარსის მე-7 პუნქტი: „7. ამ მუხლით დადგენილი რეგულირება არ ვრცელდება „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის №39-18 დადგენილების პირველი მუხლის „ბ“ პუნქტით დამტკიცებული „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის ტექსტური ნაწილის“ 72-ე მუხლის მე-4 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ შემდეგი რიგის ქალაქგეგმარებით არეალში (ვარკეთილის მასივი) არსებულ მიწის ნაკვეთებზე.“ გ) 16 3 მუხლის მე-4 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი შინაარსით: „4. სახელმწიფოსა და მუნიციპალიტეტის მიერ პრივატიზებულ მიწის ნაკვეთებზე, მიუხედავად მესაკუთრის ცვლილებისა, ფუნქციური ზონის ცვლილებისას გადასახდელი ფასი განისაზღვროს არსებული ფუნქციური ზონის საბაზრო ღირებულებისა და მოთხოვნილი ფუნქციური ზონის საბაზრო ღირებულებას შორის არსებული სხვაობის 100%-ის ოდენობით.“ კომისიის სხდომაზე გაიმართა მსჯელობა 24-ე მუხლის მე-8 პუნქტის შემდეგ 8 1 პუნქტის დამატებასთან დაკავშირებით, კომისიის გადაწყვეტილებით, აღნიშნული ცვლილება საჭიროებს დამატებით შესწავლას.

12-03243545-03-19.12.2024

საკითხი წარმოადგინა სსიპ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის იურიდიულის უფროსმა ნინო ჯაფარიძემ. მისი თქმით, „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის №14-39 დადგენილებით დამტკიცებული წესების 31-ე მუხლის 6 1 პუნქტის, „ა“ ქვეპუნქტით განსაზღვრულია, რომ კოოპერატიული ბინათმშენებლობით დაზარალებულთა დაკმაყოფილების მიზნით მუნიციპალიტეტის მიერ გამოყოფილი/ გადაცემულ მიწის ნაკვეთებზე შესაძლებელია დადგინდეს Y-ის (კოეფიციენტი) განსხვავებული მნიშვნელობები. მნიშვნელოვანია, რომ Y-ის (კოეფიციენტი) განსხვავებული მნიშვნელობები, ასევე გავრცელდეს იმ შემთხვევაშიც, თუ კოოპერატიული ბინათმშენებლობით დაზარალებულთა დაკმაყოფილების მიზნით მუნიციპალიტეტის მიერ გამოყოფილი/ გადაცემული მიწის ნაკვეთთან სხვა მიწის ნაკვეთის დაემატება/გაერთიანება მოხდება, თუმცა, აღნიშნული წესი გავრცელდება იმ შემთხვევაში თუ დამატებული მიწის ნაკვეთის ფართობი არ აღემატება მუნიციპალიტეტის მიერ გამოყოფილი/გადაცემული მიწის ნაკვეთის 20 %-ს და არის არაუმეტეს 525 კვ. მ. აღნიშნული ცვლილება მიზნად ისახავს ისეთი მიწის ნაკვეთის განვითარებას, რომელიც დამოუკიდებლად ვერ ვითარდება მრავალბინიანი საცხოვრებელი ფუნქციით. აგრეთვე, აღნიშნული ცვლილება მნიშვნელოვანია ტერიტორიების ეფექტური და სწორი ქალაქგეგმარებითი განვითარების კუთხით. ცვლილება შედის დადგენილების მე-31 მუხლში და 6 1 პუნქტის, „ა“ ქვეპუნქტს დაემატება „ა 1“ ქვეპუნქტი, რომლის მიხედვითაც დადგინდება Y-ის (კოეფიციენტი) განსხვავებული მნიშვნელობები ბინათმშენებლობით დაზარალებულთა დაკმაყოფილების მიზნით მუნიციპალიტეტის მიერ გამოყოფილი/ გადაცემული მიწის ნაკვეთთან სხვა მიწის ნაკვეთის დამატების/გაერთიანების შემთხვევაში, თუმცა, აღნიშნული წესი გავრცელდება იმ შემთხვევაში, თუ დამატებული მიწის

ნაკვეთის ფართობი არ აღემატება მუნიციპალიტეტის მიერ გამოყოფილი/გადაცემული მიწის ნაკვეთის 20 %-ს და არის არაუმეტეს 525 კვ. მ.

კენჭისყრაში მონაწილეობისგან თავი შეიკავეს ლილე ლიპარტიანიშვილი და თამარ ხვედელიანიშვილი.

ბმთა უმრავლესობით, ურბანული დაგეგმარების და საქალაქო მეურნეობის კომისიას მიზანშეწონილად მიაჩნია აღნიშნული პროექტი გატანილ იქნას საკრებულოს სხდომაზე დასამტკიცებლად.

5. კულტურული მემკვიდრეობის დამცავ ზონაში არსებული ავარიული შენობა-ნაგებობების რეაბილიტაციის/ჩანაცვლების მიზნით, მისამართზე - ქალაქი თბილისი, მოსკოვის გამზირის №9ა-ში მდებარე მიწის ნაკვეთთან (საკადასტრო კოდი: №01.17.12.003.207, ფართობი - 2 500 კვ.მ.) მიმართებით, გასატარებელი ღონისძიებების საკითხის შეთანხმების თაობაზე (საკრებულოს №12-032433341-03 28.11.2024)

საკითხი წარმოადგინა ს.ს.ი.პ. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს უფროსის მოადგილე ნინო ბაგაშვილიშვილი. მისი თქმით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიულ პირ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოში წარდგენილი 2024 წლის 24 ოქტომბრის N012429812-67 (N01243244023-67) განცხადებით ქალაქ თბილისში, მოსკოვის გამზირის N9ა-ში მდებარე მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: N01.17.12.003.207) შესაკუთრებ (შემდგომში - დაინტერესებული პირი) N01.17.12.003.207 საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთზე მიწის ნაკვეთის განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტის (კ-2) გადაშეზღვევის სანაცვლოდ (კ-2=5.4), გამოხატა მზაობა მაკომპენსირებელი ღონისძიების სახით, კულტურული მემკვიდრეობის დამცავ ზონაში არსებულ ავარიულ შენობა-ნაგებობების რეაბილიტაციის/ჩანაცვლების მიზნით, შესაბამისი ფასის გადახდაზე. N01.17.12.003.207 საკადასტრო ერთეულზე, „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის N39-18 დადგენილებით დამტკიცებული მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის შესაბამისად, ვრცელდება საზოგადოებრივ-საქმიანი ზონა 2 (სსზ-2). „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის №14-39 დადგენილებით დამტკიცებული წესების მე-15 მუხლის მე-5 პუნქტის „ს“ ქვეპუნქტის შესაბამისად, საზოგადოებრივ-საქმიანი ზონა 2 (სსზ-2) არის მაღალი ინტენსივობის შერეული საზოგადოებრივსაქმიანი ქვეზონა, რომელიც მოიცავს საქალაქო განაშენიანებული ტერიტორიების საზღვრებში (როგორც წესი გზზე) არსებულ/დაგეგმილ საზოგადოებრივი გამოყენების (და მის დამხმარე) ტერიტორიებს. იმავე განაშენიანების რეგულირების წესების მე-16 მუხლის პირველი პუნქტის „ს“ ქვეპუნქტის თანახმად, საზოგადოებრივ-საქმიანი ზონა 2 (სსზ-2)-ში განაშენიანების დომინირებულ სახეობას შეადგენს ობიექტები საზოგადოებრივი დანიშნულების ფუნქციებით; შესაძლებელია საზოგადოებრივ-საქმიანი ზონის ფუნქციონირების უზრუნველყოფი საცხოვრებელი შენობების/სამყოფების, როგორც არადომინირებული სახეობის არსებობა, არაუმეტეს შენობა-ნაგებობის/საპროექტო გადაწყვეტის საერთო ფართობის 25%-ისა, სპეციალური (ზონალური) შეთანხმების საფუძველზე კი არაუმეტეს - 90%-ისა. იბულებით გადაადგილებულ პირთა - დევნილთა დაკმაყოფილებისთვის არსებული საპროექტო

